საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

13060/2-1
26.09.08

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 203-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად საქართველოს პარლამენტში შემოვიდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პეტიცია (№1, 26.09.08) საქართველოში 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა და სუვერენიტეტის ხელყოფის მიზნით განხორციელებულ სამხედრო და პოლიტიკურ ქმედებებზე. პეტიციაში დასმული საკითხები, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოითხოვს ყოველმხრივ ობიექტურ შესწავლას და სათანადო რეაგირებას, რისთვისაც მიზანშეწონილად მიმაჩნია, აღნიშნული საკითხები შეისწავლოს ამ მიზნით სპეციალურად შექმნილმა პარლამენტის დროებითმა კომისიამ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 203-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შემოვდივარ წარდგინებით, პეტიციაში დასმული საკითხების შესწავლის მიზნით შეიქმნას რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია.

(პეტიცია 1 ფურცლად თან ერთვის)

პატივისცემით,

დავით ბაქრაძე